✦ **ტფ. საქველ-მოქმედო სკოლაში** ამ ჟამად ასზე მეტი ქართველი მოსწავლეა, მაგრამ იქ ქართულს ისე ასწავლიან, როგორც ცალკე საგანს. ქ. შ. წ.-კითხვის გამავრცელ. საზოგადოების გამგეობას აზრად აქვს, მასწავლებელს ჯამაგირი მიუმატოს იმ შემთხვევაში, თუ ას სკოლის მეორე, მესამე და მეოთხე განყოფილებაში გამრავლებულ იქნება ქართულ ენის გაკვეთილების რიცხვი.

✦ ქ. შ. წ.-კითხვის გამავრცელ. საზოგადოების **სასკოლო სექციამ** დაავალა საზოგადოების სკოლების ხელმძღვანელ-მეთვალყურეს გ. ბურჭულაძეს, ადგილობრივ განიხილოს თხოვნა დაბა ნალჩიკის (თერგის ოლქი) მცხოვრებლებისა, რომელნიც სექციას სთხოვენ სკოლის გახსნას და გამოარკვიოს ის პირობები, რომელსაც ისინი უდებენ სექციას.

✦ ქ. შ. წ.-კითხვის გამავრცელ. საზოგადოების კავკავის განყოფილების გამგეობის შეკითხვაზე ტფ. წ.-კ. საზოგადოების გამგეობამ უპასუხა, რომ კავკავის სკოლის გამგედ მიმდინარე წლის დამლევამდე კვლავ სტოვებს მასწავლებელს ტრიფონ შუბლაძეს, რომელიც ამ თანამდებობას დროებით ასრულებს.

ძუთაისი

✦ კიტა აბაშიძე მოელაპარაკა ქუთაისის ვიცეგუბერნატორს ა. ა. მაკაროვს პიროგოვის საზოგადოების წინადადების შესახებ და სთხოვა, ნება დართოს ამ საზოგადოებას გაეგზავნა ექიმთა რაზმი დაზარალებულ ადგილებში სხვა და სხვა გვარი შემწეობის აღმოსაჩენად. ვიცეგუბერნატორს ამის შესახებ უარი უთქვამს, რადგან დაზარალებულ ადგილებში არ არის ისეთი შიმშილობა, რომ საექიმო დახმარება იყოს საჭირო. შიმშილობა საქართველოში განირჩევა რუსეთის შიმშილობისგან, სადაც ამ მოვლენას დიდი უბედურება სდევს ხოლმე თანაო. ფულით დახმარება კი სასურველია და თუ გამოგზავნიან მივაწვდით დამშეულ ხალხსაო. კიტა აბაშიძემაც შესაფერისი დეპეშა და წერილი მისწერა პიროგოვის საზოგადოებას და სთხოვა ფულის გამოგზავნა მარგანეცის მრეწველთა საბჭოში, რომელიც შემდეგ გადასცემს ამ ფულს იმ კომიტეტებს ან იმ დაწესებულებათა, რომელნიც იკისრებენ დამშეულთა დახამარებას.

✦ ქალაქის თავმა იუსტიცის სამინისტროში შემდეგი შინარსის დეპეშა გაგზავნა: „ქუთაისის ქალაქის საბჭოს წევრთა და მცხოვრებთა უმეტესი ნაწილის თხოვნით, გოხოვთ თანაგრძნობა ამოუჩინოთ დ. ბაქრაძესა და კ. ლორთქიფანიძეს და აპატიოთ მას სასჯელი. მათ დიდი ღვაწლი მიუძღვით თავისი გულწრფელი მოღვაწეობით ქართველი საზოგადოებისა და ქალაქის მცხოვრებთა მიმართ თვისი ხანგრძლივი ხმოსნობის განმავლობაში“.

ზუგდიდი.

✦ როგორც მკითხველსაც მოეხსენება, ამჟამად დიდი განხეთქილებაა ქალაქის გამგეობისა და ნ. თუმანიშვილის შორის. თუმანიშვილი ქალაქს ედავება განათებისას 18,000 მ., „ნედოიმკას“ და 18 იანვრიდან ელექტრონის შუქსაც აღარ აძლევს. სამოთხი დღეა ქალაქი ღამ-ღამობით სიბნელითაა მოცული.

სოფლად.

✦ **ალაგირი** (თერგის ოლქი) 14 იანვარს ალაგირელმა ქართველობამ ნინობა იდღესასწაულა. ქართულად სწირა მღ. გაბრ. ბოკორიშვილმა. გალობდა ქართული გუნდი. მამა ბოკორიშვილმა განუმარტა ხალხს წმ. ნინოს ღვაწლი.

წირვის შემდეგ საერთო სადილი გაიმართა ქართულ სკოლაში, მოიწვიეს ადგილობრივი ოსებისა და რუსებისა წარმომადგენელნიც.

დღიური

ისევ და ისევ!..

ერთს ქუთათურს გაზეთში ვინმე მოგზაური მოგვითხრობს იმის ამბავს, თუ როგორ ესტუმრა ზემოიმერეთის ერთს სოფლის სკოლას.

„მივედი თუ არა, გვიამბობს მოგზაური: ბავშები შემომხვდნენ და ცნობისმოყვარეობით დამიწყეს ცქერა. შემდეგ მასწავლებელიც მოვიდა და მხიარულის სახის გამომეტყველებით მითხრა: მადლობა ღმერთს, რო შენ ხარ; ჩვენ კი სულ სხვა გვეგონე. მასწავლებელი ჩემი კარგი ნაცნობი გამოდგა, მაგრამ პირველი შეხედვით ვერ ვიცანი: საცოდავი თითქოს გაველურებულ ადამიანს დამსგავსებოდა, ისე შებუნგლილიყო თმით, რომ თითქოს დავიწყებოდა სრულიად დალაქის არსებობა ქვეყნიერებაზე, მარგალტლის წარმოდგენაც კი დაკარგვიაო, იტყოდით. ძნელი იყო მისი ცნობა. მაგრამ როდესაც თვალებში ჩავხედე, ვიცანი ჩემი ნაცნობი და მეზობელი, ჩემი ალექსი. ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, მით უფრო, რომ რამდენიმე დღე სოფლად დავდიოდი და არავინ შემხვედრია ნაცნობი ადამიანი, რომ სჯაბაასით თავი გამერთო. მიამა ჩემი ალექსის შეხვედრა. ალექსიც მეტად გახარებული იყო... მხიარულებას ვამჩნევდი ამ დახვედრილ საზოგადოებას—მასწავლებელს და მის მოსწავლეებს. არ ვიცოდი კი, თუ რისთვის მიმეწერა ყოველივე ეს. ალექსიმ შემატყო, და რომ გამოვეყვანე ამ მდგომარეობიდან, ჩემმა ალექსიმ მითხრა: იცი, შენ რომ აი, იმ სერზე, გამოჩნდი ჩვენკენ მომავალი ევროპიულის ტანისამოსით, ბავშვებმა სახალხო სკოლების ზედამხედველს მიგამსგავსეს, შეშინდნენ, გამოიღეს პარტებიდან, თუ ვისმე მათგანს კი ჰქონდა ქართული წიგნები ან რვეული და ბუჩქებში დამალეს, რომ ზედამხედველს არ ენახა და საყვედური არ ეთქვა როგორც მათთვის, ისე ჩემთვის, რომ ჩვენ ქართულს წიგნს ვენათესაეებით. ამ სიტყვებთან ერთად მიაქცია ჩემი ყურადღება იმაზე, თუ როგორ დაეძებდნენ ბავშვები ჩირგვებში მიმალულს წიგნებსა და რვეულებს. ამ სურათმა ძლიერ იმოქმედა ჩემზე და დამაღონა. ვსთქვი ჩემს გულში: რა დანაშაულობა ჩაგვიდენია, რომ ასეთ განსაცდელში ჩავარდნილვართ! ამ საცოდავ ბავშვებს ქართულს, თავის დედა ენას, ართმევენ, არ ასწავლიან და რუსულს იმდენსაც ვერ ასწავლიან, რომ ცხოვრებაში გამოადგეს!.“

მეც დავღონდი, ეს ამბავი რომ წავიკითხე. თვალ-წინ წარმომიდგა უმანკო, გულუბრყვილო ბავშვების სახეები და ზედ აღბეჭდილი ტანჯვა გაუგებარი, უაზრო. მაგრამ ამავე დროს ჩემს ნაღველს ღიმილი გადაეკვრა, ღიმილი ნაზი, მშვიდი, სიმწარეს იმედი შეეზავა, რომ ხალხის გულში დამარხულია ძალა, რომელიც შეებრძოლება სიბოროტეს და ძალმომრეობას, რომ იქა-აქ მოიპოვებიან ალექსისთანა მასწავლებლები, რომლებიც თუმცა ფარულად, მაგრამ მაინც იცავენ, მშობლიურს ენას, თუმცა შიშით და კრძალვით, მაგრამ მაინც უწვრთნიან ერს ერთგულს შვილებს.

მე წავიკითხე მეორე ამბავი (განათლება № 1). ამ რამდენისამე ხნის წინად ადგილიდან დაითხოვეს გურიასა და ბათომის ოლქში კარგად ცნობილი სახალხო სკოლების ინსპექტორი ტერ-გასპარიანცი, რომლის საგმირო მოღვაწეობას ჩვენ საზოგადოება საკმაოდ იცნობდა. მისი სახელი წარუშლელი დარჩება ქართული სკოლისთვის. გასპარიანცმა სახელი გაითქვა ქართული ენის დევნით და დამოუკიდებელი მასწავლებლების შევიწროებით. ორ წლის განმავლობაში სასტიკად სდევნიდა, ცოტად თუ ბევრად, შეგნებულს მასწავლებელს, სულ უბრალო რისთვიმე ემუქრებოდა სამსახურიდან დათხოვნას, ხშირად ართმევდა ადგილს და უამისოდაც დაბეჩავებულს მასწავლებლებს უსპობდა ყოველსავე თვითმოქმედებას, და გაამეფა მასწავლებლებს შორის ინტრიგანობა, ერთმანეთის დაბეზღება, ღალატი. ქართული ენა კი პირდაპირ ძილს უფრთხობდა გასპარიანცს და ყოველგვარი საშუალებით სცდილობდ მის შევიწროვებასა და გამოძევებას სახალხო სკოლებიდან. ასე, წარმოიდგინეთ, თვითონ ქართველ მასწავლებლებსაც კი უკრძალავდა ერთმანეთში ქართულს ლაპარაკს და იმას ურჩევდა თავის ქვეშევრდომებს, რომ ბოიკოტი გამოუცხადეთ იმ მასწავლებელს, რომელიც ქართულად ილაპარაკებსო.

აი, ამ გასპარიანცის სადიდებლად ბათუმის ერთ-ერთს გაზეთში წერილი დაიბეჭდა შემოქმედის სასწავლებლის ზედამხედველის ს. წ—ძისა, სადაც ავტორი მწარედ უსაყვედურებს იმ ვაჟბატონებს, რომლებიც შეპყრობილნი არიან პოლიტიკანურ ენინიანობით და არ აფასებენ გასპარიანცის მაღალს ნიჭს, შემოქმედებას, კეთილს განზრახვას, უანგაროებას (!) და განსაკუთრებით იმას, რომ იგი ქართული ეროვნების ფხიზელი და ერთგული დამცველიაო.

მეორე ქართველმა მასწავლებელმა, გასპარიანცის მიერ ნატანების მოზარდ თაობის გასანათლებლად დანიშნულმა, როგორც კი ადგილი მიიღო, ბატონის გულის გასახარებლად გოგებაშვილის სახელმძღვანელო გამოაძევა სასწავლებლიდან და ცბიერად შეეკითხა გასპარიანცს: ჩემდამი რწმუნებულ სასწავლებლის მესამე განყოფილებაში რუსული ენისთვის რომელი სახელმძღვანელო შეიტანოო. ბ-მა ინსპექტორმა, რასაკვირველია, პასუხი არ დაუგვიახა და უბრძანა: „ჯაფარიძე და ზედგინიძეო!“

მესამე მასწავლებელმა კიდევ, გასპარიანცის გულითადმა მეგობარმა, ს. ხვარბეთში ახლად შემოსულს ბავშებს რუსულად დაუწყო საუბარი...

ძალზე დავღონდი, ეს ამბები რომ წავიკითხე. დავღონდი და ჩაკვდა სიხარული ჩემს გულში. დამავიწყდნენ მასწავლებელი ალექსი და მისი მშვენიერი ბავშვები. წინ წარმომიდგნენ ქართველი მასწავლებლები მაბეზღრები, ქართული ენის მდევნელნი, მამულის მოღალატენი, ჩვენი ეროვნების გამანადგურებელი ტ დღევანდელი სკოლა და ამ სკოლაში აღზრდილი ქართველობა და მისი საშინელი სურათი, თუ როგორ მუხლმოდრეკით ეგებრება ქართველი ერის სისხლის მსმელს ვოსტორგოვს—ილოცე ქართველებისათვის, ადიდე ქართველებს განმანათლებელი ნინოო!

რამ წარმოშობა ასეთი მონური, დაცემული, გათახსირებული სული?..

სიტყვა.

ხმა ოდესიდან

3.

წინადაც ვწერდი, რომ ოდესაში არსებობს სტუდენტთა დრამატიული წრე და წარმოდგენებს ჰმართავს მეთქი. უკანასკნელ ხანს წარმოდგენები და ქართული საღამოები თითქმის თვეში ორჯელ-სამჯერ იმართება პოლონელების კლუბ „ოგნისკოში“. ხალხი თითქმის ყოველთვის ბლომად ესწრება და ამ კულტურულ გასართობის დიდი კმაყოფილიც არის. ახლახან, 14 იანვარს, აქაურმა ქართველობამ იმავე კლუბში წმ. ნინოს დღესასწაულის აღსანიშნავად ბ. ჯუღელის პასუხისმგებელ გამგეობით პატარა საღამო გამართა. განზრახული და დამზადებული იყო რეფერატი წმ. ნინოს მნიშვნელობის თაობაზე საქართველოს ისტორიაში, მაგრამ ქალაქის უფროსმა ბ. სასნოვსკიმ ნება არ მოგვცა რ.ეფერატის ქართულად წაკითხვისა. თუ გნებავთ, რუსულად წაიკითხეთო, გვითხრეს. რასაკვირველია, ეს ყოვლად შეუძლებელი იყო და რეფერატის წაკითხვაც ვერ მოხერხდა, თუმცა საღამო კი გაიმართა.

აიხადა ფარდა. სცენაზე ცოცხალი სურათი გაემართნათ: ნინო, ქეთევან და თამარი აკაკის ლექსის მიხედვითა. სურათს არა უშავდა რა, ოღოდან აკაკის ლექსის სიმღერამ კულისებში თითქმის გააქარწყლა მისი შთაბეჭდილება.

სურათის შემდეგ დასდგეს დ. აწყურელის მიერ გადაკეთებული ერთმოქმედიანი ვოდევილი „ცოლ-ქმრობის წინააღმდეგ“. ვოდევილმა ძლიერ მხიარულად ჩაიარა, დამსწრე საზოგადოება ბევრი აცინა. განსაკუთრებით აღსანიშნავია გერ. კუპრაშვილი და შაქრო იშხნელი. პირველის შესახებ ერთხელ უკვე მქონდა საუბარი და ვსთქვი, რომ ყურადსაღები ნიჭი აქვს კომიკისა მეთქი და ახლაც გვიჩვენა თავისი ძალა, თუმცა ხანდახან აჭარბებდა; მარცხენა ხელსაც მეტის-მეტად იქნევდა. შ. იშხნელი ეს მესამედ გამოდის აქაურ სცენაზე და უკვე ერთხმად აღიარებულია მისი უეჭველი ნიჭი; კარგი ხმა, მშვენიერი გამოთქმა, დარბაისლური ქართული, აი, რა ღირსება აქვს ამ ახალგაზდასა. ეხლაც გლეხ-კაცის ილიას როლი ისე კარგად შეასრულა, რომ დახელოვნებული მსახიობი გეგონებოდათ, თუმცა პირველ გამოსვლისას რაღაც უხალისობა ეტყობოდა. ქ-ნ გოგ. მახხულიას ასულს სასცენოდ შესაფერისი გარეგნობა აქვს და თავისუფლადაც ეჭირა თავი. არა უშავდა რა ბ. ალ. პაპავას.

წარმოდგენას მოჰყვა სამუსიკო და სალიტერატურო განყოფილება. მშვენივრად დაუკრა ვიოლონჩელისტ. მეფისაშვილმა. საზოგადოება ფრიად ასიამოვნა და ხელოვნებით გააკვირვა 12 წლის ებრაელმა აბრამოვიჩმა, რომელიც სკრიპკას უკრავდა. „შენ გეტრფი მარად“ და ერთი რუსულიდან ნათარგმნი რომანსი იმღერა ბ. ილ. კვაშალმა. ყველა ამათ აკომპანიმენტს უწევდნენ ქ-ნნი ზ. ჩიკვაიძისა და ეკ. უშვერიძისა. კარგად წაიკითხა მერეჟკოვსკის „საკიამუნი“ ალ. პაპავამ (ბადრიძის თარგმანი). შ. იშხნელი ვახტ. ორბელიანის „ჯვარი ვაზისას“ კარგად წაიკითხავდა, მაგრამ ლექსი ზეპირად არ იცოდა. არა უშავდა რა ბ. კვალიაშვილის მიერ წაკითხულ მონოლოგს „რა მასმევს ღვინოს“. დასასრულ ბევრი აცინა ხალხი გერ. კუპრაშვილმა იმერული სცენებითა და სადღეისო კუპლეტებით. სხვათა შორის, შეეხო ტფილისის პოლიტეხნიკუმის განავთლულებასაც.

საღამოს ხალხი ბლომად დაესწრო. რუსები და ებრაელებიც კი იყვნენ, ალბად, სამუსიკო განყოფილების გამო. ადესის ქართველობას ჯერ-ჯერობით ეს ერთად-ერთი საშუალება აქვს ერთად თავის მოყრისა. წინად გატყობინებდით, განზრახულია „ქართველთა საზოგადოების“ დაარსება მეთქი. მგონია, ჩქარა ეღირსება ამ აზრს განხორციელება. მეტი ენერგია, მეტი, ვეტყვით საქმის მოთავეებს.

***

თებერვლის 7-ში ქართველ ლარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ გაიმართება ჩვეულებრივი ქართული საღამო. ამ საღამოებს ყოველთვის ბევრი ხალხი ესწრება თურმე. ქართველი სტუდენტობა უკვე ფუს-ფუსსა და მზადებაშია.

როგორც მთელ ქართველობაში გროვდება, ისე აქაურებშიაც ვაგროვებთ ფულს ილიასეულ სახლის გამოსასყიდად. საქმე კარგად მიდის და ამ მოკლე ხანში ფულსაც გამოვგზავნით.

ქ. რაჭველი.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

22 იანვარი.

უცხოეთი.

კულჯა. გარდაიცვალა დუდუ გუანი.

მარმაროშ-სიგეტი. გლეხები—მოწმეები უარს ამბობენ წინანდელ ჩვენებაზე, პოლიციამ ძალით გვათქმევინაო დიდის ამბით მოელიან ბობრინსკის ჩამოსვლას. სადგურები ჯაშუშებითა და ჟანდარმებით არის სავსე.

ტორნეო. შვეციის საზღვარზე დაიჭირეს 422 ბრაუნინგი და პატრონები.

ისპანია. სპარსელი ვაჭრები შუამდგომლობენ გერმანიის საკონსულოს დაარსების თაობაზე.

ვალენა. ჩრდილოეთ ალბანეთის საზღვარზე შეტაკება მოუვიდათ ბერძნების რაზმელებსა და ალბანელ ჟანდარმებს.

რომი. დაწყო პარლამენტის კრებები. მოხდა რადიკალების კონგრესი, რომელმაც გადასწყვიტა, შეუძლებელია პარტიამ პასუხი აგოს მთავრობის მოქმედებათა გამო. აგრეთვე შეიმუშავეს პირობები სხვა დემოკრატიულ პარტიებთან შეთანხმებისა. მთავრობამ პალატაში შეიტანა ახალი კანონ-პროექტები, რომლითაც გადასახადი 47 მილიონი მანეთით უნდა გადიდებულ იქმნას.

სტამბოლი. საბერძნეთის ელჩმა სულთანს ჩააბარა რწმუნებულობის ქაღალდი. სულთანმა თავის და მთავრობის მხრით განუცხადა, ყოველი ღონე იქმნება ნიღებული, რათა ორთავ სახელმწიფოთა შორის თანხმობა სუფევდესო.

ათინა. ეპირიდან იტყობინებიან: ბერძენთა და ალბანელთა შორის შეტაკება მოხდა. ბერძნებმა ზარბაზნებს მიჰმართეს. ალბანელები უკუაქციეს.

ვენა. ლვოვიდან იტყობინებიან: რუსთა კრების გამო უკრაინელელმა და პოლონელმა ახალგაზრდობამ დემონსტრაციის მოხდენა მოიწადინა. პოლიციამ დემონსტრანტები გაჰფანტა. პოლიციასა და მათ შორის შეტაკება მოხდა. რამდენიმე პოლიციელი დაიჭრა.

პარიზი. დუმერგმა საგარეო საქმეთა კომისიაში განაცხადა, რომ პუტილოვის ქარხნის საკითხი საფრანგეთის ინტერესთა სასარგებლოდ მოგვარდა.

რუსეთი.

პეტერბურგი. საბერძნეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვენიზელოსი ცარსკოე სელოში მეფეს წარუდგა.

ჰელსინგფორსი. სეამის თავმჯდომარედ აირჩიეს სენატორად ნამყოფი ზომიერი ახალგაზდა ფინლანდიელი სტოლბეოგი, ამხანაგებად: სოციალ-დემოკრატი ტომოი და ინგმანი.

პეტერბურგი. ახლო ხანში მინისტრთა საბჭო განიხილავს სათათბიროს 62 წევრის საკანონმდებლო მოსაზრებას ტომსკის უნივერსიტეტში საფილოლოგო და სამათემატიკო ფაკულტეტის დაარსებაზე.

ფინანსთა სამინისტრომ მინისტრთა საბჭოს წარუდგინა თვისი აზრი სათათბიროს 35 წევრის საკანონმდებლო მოსაზრებაზე, რომელიც ერების მიერ საერობო ბანკის დაარსების უფლებას ეხება. სამინისტრო ამის წინააღმდეგი არ არის და თუ სათათბიროც გამოსთქვამს სურვილს შესაფერ კანონ-პროექტის შემუშავებას შეუდგება.

ჩერნიგოვი. ზოროცოვიჩის იარაღის მაღაზიიდან მოიპარეს რევოლვერის 10.000 პატრონა.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. ნიჭიერ მსახიობის ელ. ჩერქეზიშვილის ბენეფისი შესდგება დღეს, 23 იანვარს. მობენეფისემ ამოირჩია ახალი კომედია ირეთელისა „ბედნიერი დღე“. აგრეთვე ავქსენტი ცაგარლის უკანდავი კომედიის „ხანუმას“ ორი მოქმედება. ქ-ნ ჩერქეზიშვილის დამსახურება ჩვენის სცენის წინაშე ღირსია საზოგადოების პატივის ცემისა.

უცხოეთი

ინგლისი. სამხრეთ აფრიკაში მომხდარმა ამბებმა დიდი აღშფოთება გამოიწვია. დიდი ხნის შემდეგ პირველად შეთანხმდნენ სოციალისტები და კონსერვატორები. სამხრეთ აფრიკის ახალშენებს განაგებს მთავრობა გენერალ ბოტას მეთაურობით.

უკანასკნელ ეაფიცვების დროს, ბოტას მთავრობამ უკანონოდ დაატყვევა მუშების ათი ხელმძღვანელი. ეს ამბავი სწრაფად მოეფინა მთელ სამხრეთ აფრიკას მიუხედავად იმისა, რომ გაზეთებში აკრძალულია რაიმე ცნობების მრთავსება. დატუსაღებულნი გადაასახლეს.

მათმა ვექილებმა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს მიმართეს და მოითხოვეს, რომ სამართალში ყოფილიყვნენ მიცემული მინისტრები: იუსტიციისა, საგზაო და შინაგან საქმეთა; პირველ ყოვლისა იმისათვის, რომ დატუსაღებული ხელმძღვანელები სამართალში არ მისცეს, და რესპუბლიკიდან განდევნეს, რაც ეწინააღმდეგება რესპუბლიკის ძირითად კანონებს.

სასამართლომ უესელსის პირით განაცხადა, რომ საჩივარი საფუძვლიანია, მხოლოდ სასამართლო უძლურია იმ მთავრობის წინაშე, რომელიც თვის ძალით ბოროტ-მოქმედებს და რესპუბლიკის კანონების წინააღმდეგ შუაღამისას იტაცებს მოქალაქეთ. ასეთი მთავრობა პასუხისმგებელია კანონის კი არა, მოქალაქეთა წინაშე.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გენერალ ბოტას კაბინეთი თვითვე ჰგრძნობს უკანონობას, რომელმაც მშვიდობიან გაფიცვასთან საბრძოლველად სამხედრო წესების შემოღებით მოიმოქმედა. ამის გამო ბოტას შეაქვს პარლამენტში ბილი მთავრობისადმი ამნისტიისა ყოველგვარ კანონებს დარღვევისათვის. ეს ბილი რომ ძალაში შევიდეს მას ხელი უნდა მოაწეროს მეფის წარმომადგენელმა ლორდმა გლადსტონმა. ეს გაკვრმება საშუალებას აძლევს იხგლისის პარლამენტს ჩაერიოს სამხრეთ-აფრიკის საქმეებში და შეაფასოს ბოტას მოქმედება.

კონსერვატორები ჰშიშობენ, ბოტას პოლიტიკამ ზიანი არ მიაყენოს იმპერიის მთლიანობას, რადგანაც ამ პოლიტიკით ახალშენთა დამოუკიდებლობა უაზრობამდე მიჰყავს.

მუშები მოითხოვენ კანონებისათვის ტრედ-უნიონიზმის კანონს, ესე იგი გაფიცვებისა და კავშირების უფლებას.

ფრანგ სოციალისტების კონგრესი. ამ ჟამად ფრანგ სოციალისტებს კონგრესი აქვთ გამართული. კონგრესი თათბირობს მემარცხვნე ბლოკის დაარსების თაობაზე. გუსტავ ჰერვეს საქიროდ მიაჩნია ასეთი ბლოკი. ჰერვეს წინააღმდეგ ლაპარაკობენ: სეიბა და ჟორესი. სემბა მოიგონებს, ერთხელ სოციალისტებმა ბეჭკრეს ეგეთი ბლოკი და სასტიკადაც ბოლტყუვდნენო. მაშინ რადიკალები ერთავად ჩიოდნენ, სოციალისტები მუხრუჭს გვიქერენო, ნამდვილად ბლოკს მხარს უჭერდა ოროდე რადიკალი, სოციალისტები კი პასუხისმგებელნი გახდნენ არასოციალისტურ პოლიტიკის წარმოებისათვისო. სემბას შეუდეგ ჟორესი ლაპარაკობს: სოციალისტები პირველ არჩევნების დროს დამოუკიდებლად უნდა მოქმედებდნენ არჩევნების დროსაო. ჩვენი მოქმედება არჩევნების დროს, განაგრძო ჟორესმა, სოციალისტური უნდა იყოს; დიდი ხხიშვნელოვანია საკუთარი ძალღონით გამოსვლა პირველ არჩევნებში. დიდი მნიშვნელობა აქვს საარჩევნო აგიტაციას სოციალისტურ იდეის გამარჯვებისთვის. ისინიც კი, ვინც ეხლა ჩვენ არ გვემხრობიან, შემდეგ, იმედია, მოგვემხრობიანო, რადგან ძლიერი იქნება ჩვენი გავლენა ასეთ ამომრჩევლებზეო.

ამიენში, გაერთიანებულ სოციალისტების კონგრესზე, შემდეგი რეზოლიუცია მიიღეს: წინასწარ არჩევნების დროს რადიკალებთან კავშირი არ განაახლონ. დამატებით არჩევნების დროს კი, იმ შემთხვევაში, როდესაც სოციალისტების კანდიდატს გამარჯვების იმედი არ აქვს, სოციალისტებმა ხმები იმ რადიკალ კანდიდატებს უნდა მისცენ, რომელნიც წინააღუდგებიან შეიარაღების ზრდას და აგრედვე მხარს დაუჭერენ სოციალურ რეფორმებს.

რუსეთი

მაქსიმ გორკის გადაუწყვეტია, ფინლანდია მიატოვოს და მოსკოვის ახლო-მახლო მდებარე ერთ-ერთ სოფელში დასახლდეს.

კიდევ ბავშვის მკვლელობა კიევში.

ჯერ კიდევ არ დაწყნარებულა საზოგადოება იუშჩინსკის მკვლელობის შემდეგ, კიევში, ფასტოვოს უბანში, მხეცურად მოჰკლეს 13 წლის ებრაელი ბავშვი იოსელ პაშკოვი. ჭრილობა გამოიკვლია ექიმმა ტუფანოვმა, რომელიც იუშჩინსკის ჭრილობებს იკვლევდა. ბავშვი ნაჩხვლეტი აღმოჩნდა 13—14 ადგილას, მთელს ტანზე სიწხლის ლაქები აღმოაჩნდა. საზოგადოებაში მითქმა-მოთქმაა, მკვლელობა რიტურიალურიაო. კიევის პრესა მედგრად ამხედრდა ასეთი აზრის გავრცელების წინააღმდეგ. გაზეთი „კიევლ. მისლში“ მოყვანილია დაწვრილებითი ცნობები, თუ როგორ მოხდა ეს მკვლელობა. ამ საქმის გამო დაატუსაღეს ერთი გლეხი, რომელსაც ივანე ბრენერის პასპორტი აღმოაჩნდა. პასპორტი ყალბი გამოდგა. ნამდვილი გვარი დატუსაღებულისა გონჩარუკოვი ყოფილა. გონჩარუკოვი ბევრჯელ ყოფილა დატუსაღებული სხვა და სხვა დანაშაულობისთვის, ლირსება ახდილია და გამასწორებელ რაზმში ყოფილა გაგზავნილი. მკვლელობის დღეს გონჩარუკოვისთვის ებრაელებს ქურდობის გამო უცემნიათ. საღამოზე მთვრალს ბავშვისთვის უთხოვნია, ტრაქტირშირში მიმიყვანეთ ჭ ფულს გაჩუქებო. ბავშვი დაჰხარბებია ფულს და გაჰყოლია. ამის შემდეგ ბავშვი მკვდარი იპოვეს. ამავე დღეს გონჩარუკოვს სიფხიზლის საზოგადოების საჩაეში ქალის თავსსახვევი მოუპარავს. ამ საქმის გამო ძლიერ სასტიკი გამოძიება სწარმოებს.

ანგარიში

წარმოდგენისა, რომელიც გაიმართა სახაზინო თეატრში 1913 წლ. 9 დეკემბერს ტფ. სათ.-აზნ. ქალთა ქართულ სკოლის სასარგებლოდ.

შემოსავალი: გაყიდული ბილეთებისაგან—1,379 მან. 50 კაპ., ჯილდო—328 მ. 45 კაპ., პროგრამებისაგან—80 მან., კონფეტ.—6 მან.; სულ შემოსავალი—1,793 მ. 95 კ.

ხარჯი: ამხანაგობას—600 მან., დედოფლის მარიამ თეოდორეს ასულის დაწესებულებათა სასარგებლოდ გადასახადი—65 მ. 72 კ., ტანსაცმლის შესანახი—110 მ. 65 კ., პროგრამებისა—23 მ., მხატვრული პროგრამების ქაღალდისათვის—4 მ. 26 კ., განცხადებების ბეჭდვა—6 მან., სულ—809 მან. 63 კ.; ხარჯების გამონაკლისით წმინდა მოგება—984 მ. 32 კ.

შემოსწირეს: კნ. ე. ნ. ბაგრატიონ-მუხრანსკისამ — 66 მან., ვ. ი. ვორონინისამ—25 მ., თავ. ა. ი. ჯამბაკურ-ორბელიანმა—25 მ., ვ. მ. თამამშევმა—25 მან., მ. გ. თამამშევმა—25 მან., ფ. ი. პაპოვმა—15 მ., ვ. ვ. თამამშევმა—13 მ., კნ. ნ. ე. ქობულაშვილისამ—13 მან., თავ. გ. ი. ამილახვარმა—10 მ., თავ. მ. ნ. ჯამბაკურ-ორბელიანმა—10 მან., ვ. ა. ევახგულოვისამ—10 მ., №.№.—10 მ., მ. ბ. როძიანკომ—8 მან., კნ. ნ. ე. ქობულაშვილისამ—6 მ., თავ. კ. ნ. აფხაზმა—5 მ., თავ. ბ. ნ. არღუთინსკი-ღოლგორუკოვმა—5 მ., თავ. ა. მ. ბაგრატიონ-მუხრანსკიმ — 5 მან., თავ. ა. ა. ამილახვარმა—3 მან., თავ. კ. მ. ამირაჯიბმა—3 მან., კნ. ვ. ი. ბაგრატიონ-მუხრანსკისამ—3 მ., კნ. ნ. ბ. ბარათაშვილისამ—3 მან., ა. ფ. ზურაბიშვილისამ—3 მან., ე. ე. გერსევანოვისამ—3 მან., კნ. ა. მ. მელიქიშვილისამ—3 მ., ე. ს. მირზაშვილისამ—3 მ., ი. ე. ფსაროვისამ—3 მ., ი. მ. თაიროვისამ—3 მან., კნ. მ. ე. ჩოლოყაშვილისამ—3 მ., გ. გ. ყორღანოვისამ—2 მ. 50 კ., ნ. დ. ჯავრიშვილისამ—2 მ., ე. გ. თამამშევისამ 2 მ., ბ. მირიანაშვილმა—1 მ. 25 კ., თავ. ი. დ. აფხაზმა—1 მ., კნ. ე. რ. ბარათაშვილისამ—1 მ., თავ. ნ. ა. ბებუთოვმა—1 მ., თავ. ლ. გ. ჯანდიერმა—1 მან., ვ. მ. სულხანიშვილისამ—1 მ., კნ. ე. მ. სუმბათაშვილისამ 1 მ., კნ. მ. ი. თუმანიშვილისამ—1 მ. ნ. ა. ტარსაიძემ—1 მ., გ. ა. შადინოვმა—1 მ., თავ. შ. რ. ერისთავმა—1 მან., №.№.—1 მან., ა. ი. რატიშვილმა—50 კაპ. და № № 20 კ.

ქალთა სკოლის სამზრუნველო საბჭო უღრმეს მადლობას უძღვნის ყველა შემომწირველს, ქ. ქ. ლოტს და მასიუს, რომელთაც კანფეტები შემოსწირეს., გაზ. „ზაკავკაზიეს“ განცხადებების უფასოდ დაბეჭდისათვის და ყველას, ვინც ხელი შეუწყო საღამოს მოწყობას.

ღია წერილი

ქ. ხარკოვის ქართულ საათვისტომოს მოვალეებს.

კიდევ ერთხელ და უკანასკნელად მოგმართავთ, დაბრუნოთ წაღებული ფული ნაწილ-ნაწილად მაინც. ბევრი თქვენგანი ცნობილ საზოგადო მოღვაწის სახელს ატარებს, შეძლებაც აქვს, მაგრამ ვალის გადახდაზე სრულიად არ ფიქრობს.

სირცხვილია ბატონებო!

ხარკოვის ქართ. სტუდენტ. სათვისტომოს თავმჯდომარის მაგიერი **ი. მამულია.**

მდივანი **დათ. ჩხეიძე.**

ფულის გამოგზავნა შეიძლება შემდეგი მისამართით: Харьковъ. Технологическій институтъ, Ст. Миріану Джаши.

შემოწირულება

ილიასეულ სახლის გამოსასყიდად ახალქალაქიდან ოლღა ნიკოლოზის ასულმა **ჯანდიერმა** 10 მანეთი გამოგვიგზავნა.

ამასთანავე ვგზავნით ასხაბადში შეკრეფილს ფულს ილიას სახლის გამოსაყიდად. სია შემომწირველთა:

ჭონიაშვილმა 10 მ., ჭელიძემ 10 ნ. მიქაძემ 5 მ., ქურდიანმა 5 მ. გაბაშვილმა 3 მ., ფიცხელაურმა 3 მ., ლეჟავა 3 მ. სარკისიანცმა 2 მ., ჩუბინაშვილმა 2 მ., კორძაია 2 მ., კუპრაშვილმა 2 მ., ფიცხელაურისამ 2 მ., ჩიხრაძემ 2 მ. რატიანმა 1 მ., კაჩუხაშვილმა 1 მ., ბერაძემ 1 მ., გვენცაძემ 1 მ., ჯაყელმა 1 მ., შეპუნოვისამ 1 მ., რაფაელმა 1 მ., ფალავამ 1 მ., დავითულიანმა 1 მ., ლაიშვილმა 1 მ., ხიდეშელმა 1 მ. პარკაძემ 50 კ., ნეფარიძეს 50 კ., ტყეშელაშვილმა 50 კ., მგელაძემ 50 კ., ლორთქფანიძემ 50 კ., მეტრეველმა 50 კ., ლაიშვილმა 50 კ., კერესელიძემ 50 კ., ბერაძემ 50 კ. კუპრეიშვილმა 30 კ. შავგულიძემ 20 კაპ. სულ 67 მან.

პატივისცემით **გ. ჭონიაშვილი** და **ა. ჭელიძე.**

წერილი რედ. ძიმართ

მ. ხ. ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ, მოათავსოთ თქვენს პატივცემულ გაზეთის ფურცლებზე შემდეგი: საქვლმოქმედო საზოგადოების რაბათის დედათა სკოლას 1913 წლის განმავლობაში შემოსწირეს შემდეგმა პირებმა: 1. ტფილისის ქართველმა თავადაზნაურობამ 400 მ., 2. ივანე ნიკოლოზის ძე ზედგინიძემ 25 მ., 3. განჯის სახალხო სკოლების ინსპექტორად ნამყოფმა მიხეილ ზედგინიძემ—90 მან., შეგროვილი კარიაგინოში შემდეგ პირთა შორის: მიხეილ სიმონის ძე ზედგინიძე—6 მან., გ. ზ. ყიფიანი—3 მ., ეივაზოვი—3 მ., მელიქ ალანოვი—1 მ., თავ. მიხ. თარხან-მოურავი—3 მ., მღვდელი ი. ლომიძე—3 მ., ასკერხან-ასკერხანოვი—2 მან., ილდრიმ-ბეკ ველიბეკოვი—5 მ., მუსა კულიევი—3 მან., მიქაილ-ბეკ ისრაფილბეკოვი—13 მან.; აბრაფ-ბეკ აგაევი, მამედ-ყალაბეგოვი, ასკარ ეივაზოვი და ჯამალ-ბეკ ვეზიროვი—7 მ.; ერთი ჯგუფისაგან—12 მან., ჯავათ-აღა ჯევანშირი—10 მ., მამედ-ბეგ ყალაბეგოვი—10 მ., მეორე ჯგუფი—9 მ., სულ—90 მან. უღრმეს მადლობას ვუძღვნით ყველა ზემოთ დასახელებულ პირთ.

ახალციხის საქვლმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე ნინო პეტრეს ასული **ქობულაძისა.**

მდივანი **გრ. ეფსანოვი.**

ბატონო რედაქტორო, უმორჩილესად გთხოვთ შემდეგი დაბეჭდოთ თქვენს პატივცემულ სახალხო გაზეთში:

მადლობას მოვახსენებ შემდეგ პირთ, რომელთაც ქ. შ. წ. კ. გ. ს. თელავის სკოლას შობის ხისათვის შემოსწირეს:

ქეთევან რუსიშვილისა 2 მ. 25 კ., თ-დ ალექსანდრე ვახვახიშვილმა 3 მ., ანა ჭავჭავაძისამ 1 მ., თამარ აბაშიძისამ 1 მ., ეკატერინე ერისთავისამ 1 მ., ქ. თამარ ბერეეიანისამ 50 კ., ბ. დავით სულხანიშვილმა 50 კ., ვ. ჭ. 30 კ., ე. ა. 20 კ., კ. 15 კ., გ. 30 კ., ქართველმა 50 კ., ა. ფ. 50 კ., მოწაფე ნინო მაყაშვილმა 50 კ., ქ. ბარბარე იორამიშვილმა 50 კ., X 50 კ., გ. კიჩაინიკმა 50 კ., გ. შიბაევისამ 1 მ., ტერ-სარკისიანცმა 30 კ., მღვდელმა ელიზბარაშვილმა 50 კ., გ. ოზეროვისამ 1 მ., მოწაფე ბერიშვილმა 1 მ. 30 კ., მოწაფე ლაპიაშვილმა 50 კ., მოწაფე ნინო ჭავჭავაძემ 50 კ., ბ. ლეჟავამ 1 მ., გ. კალაშნიკოვისამ 1 მ., თავ. მეუღლემ ელენე ვახვახიშვილმა 1 მ., X 57 კ., ქ. თამარა როსტომაშვილმა 50 კაპ., ქ. ნინო როსტომაშვილმა 60 კ., ბ. გორდეზიანმა 1 მ., თავადმა გიორგი ჯანდიერმა 1 მ., თავ. თარხანოვმა 1 მ. 23 კ., ბეგთაბეგოვმა 50 კ., ქ. ნინო გოგოლაძემ 50 კ., სულ 27 მ. 20 კ. აქედან დაიხარჯა შობის ხის მოსართავები 5 მ. 15 კ., ხის გადმოტანა 30 კ., კამფეტები, ინდის ხურმა და სხ. შობის ხის სანთელი ტ შანდლები 8 მ., ლურსმანი 10 კ., ბიპს 20 კაპ., ღარიბ მოწაფეს საანგარიშო კრებული 40 კ. სულ 14 მ. 5 კ. დარჩა 13 მ. 15 კ. რაიც მიემატა იმ ფულს, რომელიც შეგროვდა ბ. თოიძის თაოსნობით სადგურ ევლახში, ღარიბ ბავშვებისათვის. ტანსაცმლის სასყიდლად. და 4 მ. თავადის მეუღლე თამარა აბაშიძისაგან გადმოცემულს. აგრედვე უღრმეს მადლობას მოვახსენებ თავად გიგო ვახვახიშვილს ვაშლის შემოწირისათვის, თავ. ლევან ვახვახიშვილს ვაშლის და კაკლის შემოწირვისთვის, ბ. რამან კურდღელა შვილს კამფეტების და წვრილმანის შემოწირვისათვის და ბ. ყაზბულას (შილდიდგან) კამფეტების შემოწირვისათვის.

ქ. შ. წ. კ. გ. ს. თელავის განყოფილების სკოლის გამგე **ნინო გოგნაძეშვილისა.**

ჩვენი ფოსტა

ქუთაისი. ი. კვიცარიძეს. სურათები არ დაიბეჭდება.

თელავი. ნ. ყ—შვილს. სუსტია, არ დაიბეჭდება.

რედაქტორი **ნ. ჯორდელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**

მრდაის ფერი ბროლის საპონი.

ვინც რეგულიარულად ხმარობს ამ საპონს, მშვენიერი ფერი ეძლევა, კანი ხავერდისებრ რბილი და ჩვილი ხდება. **ნამდვილი მხოლოდ მე— „№4711“.**

ნაპერი 25 კ.

ერთადერთი ფაბრიკა: **ფერდ. მიულგენსისა.**

Метцъ. 547912.

1020 პარფიუმერია კელნი, რიგა.

მატარებელთა მიმოსვლა

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან ბაქოს.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** ბლოკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **ხამგზ.-ხაბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **ხაფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **ხამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით დამის 2 ს. 28 წ.

ბათუმისაკენ: № 3, **ხაფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **ხაჩქარო** ბლოკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **ხამგზ.** დამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით დამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **ხახ.** დილ. 8 ს. 3 წ № 19, **ხამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ

ჯულფისაკენ: **ხაფ.** № 4/3, შუადღ. 12 ს. 20 წ.

ყარსისაკენ: **ხახ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისაკენ: № 24/23, **ხაბარგ.-ხამგზ.** საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, **ხაფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 21, **ხაბარ.-ხამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **ხამგ.** მოსკოვი-კოსტროვი-რიგაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **ხაჩქარო**—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით დამის 2 ს. 12 წ.

ბათუმიდან: № 10, **ხამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **ხამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **ხამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **ხაფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევი** ღამ. 2 ს 12 წ.

ჯულფიდან № 4/3 ხაფოსტო 7 საათსა და წუთსა საღამოთი.

ერევანიდან № 26/25 საქონლის და სამგზავრო 10 საათსა და 50 წუთზე დილით, მე-2 და მე-3 კლასის ვაგონით.

ეპიმნასიასრდიანის

პირველი კერძო

სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონეჟოვის ძეგლის პირდაპირ,

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა,

დ ი ლ ი თ:

„606“ და „914“

11—12 ს. შეუხაკუნება

კონსულტაციურად.

ბ. ა. ნავახარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. ვ. ალბაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საბვბიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ბ. ვ. ბენიამინოვი: 10—12 ს. ყურისა, ჩელისა და ცხვირის სნეულებანი.

ბ. ვ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ბ. ბ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, აბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავადოვა** 1—2 ს. საბვბიო და ქალების ავადმყ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ბ. ვ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სანატორიუმის დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ბ. ნავახარდიანი.**

ექიმი კბილის **ნინო რცხილაძე.**

გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., სად. 5—7 ს.

ექიმი **შ. ა. მიქელაძე** 15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ექიმი **ბ. მუსხელიშვილი** მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა

გადავიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოდოვოზნის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1—2 **ბ. ფომინა-ოსიპ.** ვაკეზე, საკუთარი სახლი, ტელეფ. 4[illegible]

3—4 და რუსის ბაზარში **ქრ. დ. ლაბინთარიანი** (სოლოლაკი, ამადლ. ტელ. 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედ. კი, 10. ტელ, 645).

7—8 **ნ. დ. ხატისოვი** (ნიკოლოზ. № 7, ტელ. 709).

9—11 **გ. თ. ნათიშვილი** (მონაგ. შესახვევი, № 5. 487).

10—12 **ვ. ა. ზირაქოვი** (ბარ. პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლებ. გვეზმარებოდნენ სასანიტარო წესიერებ. მოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწ. შეეწინააღმდეგენ—სახლებში თუ სხვა ადგ. ში სასანიტარო მეთვალყურეობათ ა. ცუდს საბჭოელ-სასმელს აკეთებენ და ბ. და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელ. ექიმებს აცნობონ, წესრიგობითი გა. ბები ყველას შეუძლიან გარდასცეს ბ. სავაჭრო პოლიციის კანტორებში: მოედანზე, რუსის ბაზარში, თბილისის დანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში, ყინულაჭიზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 ლაკინის მოედანზე.

ქ. ქუთაისში

დასწყო ხელის მოწერა

ია აბაღაძის (ი. ცინცაძის) მოთხრობათა მეორე ტომის გამოსაცემ. წიგნი შეიცავს 400—500 გვერდს, დართული ექნება. ტორის სურათი, ფაქსიმილე და კრიტიკული განხილვა.

წიგნი გამოიცემა ავტორის ხელმძღვანელობით სუფთად და ლამაზად. ხელის მოწერა მიიღება ბბ-ნნ კ. ოცხელის, ი. კვიცარიძის, თ. მთაწმინდელის, „პროვინციის“ წიგნის მაღაზიებში და აგენტებთან. **ფასი ხელის მოწერილთათვის ერთი მანეთი.**

მიწერ-მოწერა მხოლოდ ავტორთან, შენდგის მისამართით; ქუთაისი, კალიკეთა ქუჩა, სახლი ოჯაღვინოვისა. გამომცემელი **ა. ციცაძე.**

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი **პირველი**

საბჭოჭალ ტრიკოტაჟის

ნ. ბ. აბრამიანისა

(დაარსებულია 1895 წ.)

„სავაჭრო ბუჭგალტერის სახელმძღვანელო“ და სხვა სპეციალ. სახელმძღვანელოების ავტორისა.

ორივე სქესისათვის რადგანაც მეცადინეობა ყოველ დღე იწყება **კურსებზე, სწავლა 4 თვე გაგრძელდება.**

მეცადინეობა დაიწყება 15 ივნისიდან 1914 წ. კურსებზე სავალდებულოდ სწავლობენ: მრეწველობის ყველა დარგის ბუჭგალტერიას, ნავთის მრეწველობასთან და ნავთის ქარხნებთან დაკავშირებით, სხვა და სხვა მეთოდით, მაგრამ სპეციალურად იტალიური ორმაგი სისტემით; კომერციული ანგარიში; კომერციული კორესპონდენცია; ენა; ალგებრა და ვაჭრობის ფილოსოფია—პოლიტიკური ეკონომია; ანგარიში ჩოტებზე და კალიგრაფია. არა სავალდებულოდ: უცხო ენებს, სტენოგრაფიას და სამეცადინო მანქანით ბეჭდვას. მასწავლებლები—თავიანთ საგნების სპეციალისტები არიან, უმაღლესი განათლებით პრაქტიკულად და თეორიულად მომზადებულნი.

ატესტატები სამინისტროს ნებართვით სუსტად მომზადებულთათვის კურსებთან დაარსებულია დამატებითი მოსამზადებელი კლასები: რუსული ენისათვის და ანგარიშისათვის.

კურსების პროგრამა და წესი მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველთ ყოველ დრო. ინფორმაციები მიიღება ყოველ დღე დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

კურსები აწყდის სავაჭრო დაწესებულებებს თეორიულად და პრაქტიკულად მოზადებულ ბუჭგალტრებს, თანაშემწეებს, კორესპონდენტებს ტელეგრ. ენ. ბ. ტ. ... ... კურსების თავმდებობით. კურსებზე უსწავლია 2,200 კაცზე მეტს.

პირადად ან წერილობით მიმართეთ კურსების დამაარსებელს ტფილისში: ნიკოლოზის ქუჩა, 22, ს. ს. ტელეფონი 744. 1634

ჯ. შ. წ.-კ. გ. ს. ნიგნის მაღაზიაში იყიდ.

შემდეგი წიგნები:

ახრდილი, ი. ჭავჭავაძისა, ფასი	5 კ.
გლახის ნაამბობი, მისივე	20 „
გლეხთა განთავისუფლ. პირველ დროებ. სტენები, მისივე.	7 „
დედა და შვილი, მისივე.	3 „
ვეფხის ტყაოსანი.	60 „
თხზულებ. რ. ერისთავისა II,	40 „
„ ვაჟა-ფშაველასი. 1 მ.—	
„ ეკ. გაბაშვილისა. 1 მ.	20 „
„ პუშკინისა.	50 „
თორნიკე ერისთავი. აკაკისა,	35 „
კრილოვის არაკ., აკაკის ნათ.	50 „
კაკო ყაჩაღი, ილიასი	5 „
კაცია ადამიანი, მისივე.	20 „
მეფე დიმიტრი თავდად. მისივე.	7
მოთხრობანი კლდიაშვილისა,	30
მგზავრის წერილები, ილიასი.	7
ნაწყვეტები პოლიტიკურ ეკონომიიდან, წულუკიძისა,	50
ოთარაანთ ქვრივი, ილიასი.	18
რობინზონ კრუზო.	30
უცნაური ამბავი, ილიასი,	4
ქილილა და დამანა.	1 მ.—
ჩარლზ პარნელი.	25

ახლად გამოსული წიგნები:

სიტყვ. ისტ. ხახან. XVIII ს. 1 მ.	20
ბიძია თომას ქოხი, („ნაკადულის“ პრემია),	1 მ. 25

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. гр. нас.

ქ. ახალციხე.

ახალწლიდან პირველად გავხსენით

წიგნების საცავაჭრო,

სადაც ყოველგვარი ქართული წიგნების შეძენა შეიძლება. აქვე იყიდება ზომიერ ფასებში ადგილობრივი სასწავლებლებში ყოველგვარი სახმარ. სახე ლმძღვანელო წიგნები, რვეულები და სხვა სასწავლო ნივთები. წიგ. ნებს საკომისიოდ ვიღებთ.

1032 პატივისცემით **კონსტანტინე გვარამაძე.**

თევზის მრეწველნი

ძმ.

ძეგველოვები.

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.

ტელეფონი № 712.

განყოფილება

ავლაბარში

ფოსტის განყოფილების ძვეშ, საკუთარ სახლში.

იყიდება

იმავე ხარისხის

საქონელი,

გრიგორეს პუშკინის ქუჩაზე.

ტფილისი, სტამბა „ბრომა“ მუხრანის ქუჩა.